საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ საგრანტო კონკურსი

ხშირად დასმული კითხვები

1. **შესაძლებელია თუ არა გრანტის ფარგლებში სასწავლო სახელმძღვანელოს გამოქვეყნება?**
   პასუხი: საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის მიზანია სამეცნიერო ნაშრომების (წიგნი/ მონოგრაფია / საგნობრივი ენციკლოპედია) შერჩევა და მათი გამოქვეყნება, რაც არ მოიცავს სასწავლო სახელმძღვანელოებს.
2. **მხოლოდ ერთ ადამიანის მონაწილეობა შესაძლებელია?**
   პასუხი: პროექტს უნდა ჰყავდეს პროექტის ხელმძრვანელიც და პროექტის კოორდინატორიც. პროექტის ხელმძღვანელი და პროექტის კოორდინატორი არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირი (იხილეთ კონკურსის პირობების მე-2 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტი).
3. **რამდენი ეგზემპლარის (ტირაჟის) დაბეჭდვაა რეკომენდებული?**
   პასუხი: ტირაჟი თქვენ უნდა განსაზღვროთ ბიუჯეტიდან გამომდინარე, რაც პროექტის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმებია (იხილეთ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 23 აგვისტოს №176/ნ ბრძანების 14-ე მუხლი).
4. **შესაძლებელია თუ არა დაფინანსდეს უცხოურენოვანი წიგნი?**
   პასუხი: შესაძლებელია უცხოენოვანი წიგნის გამოცემის დაფინანსება, მაგრამ გაითვალისწინეთ რომ, ბიუჯეტის ხარჯვითი კატეგორიები არ ითვალისწინებს თარგმნის ხარჯებს.
5. **თუ სხვა პროექტებში ვარ ჩართული, მაქვს თუ არა უფლება მონაწილეობა მივიღო აღნიშნულ კონკურში?**
   პასუხი: საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსზე ამ მხრივ შეზღუდვა არ არის და შეგიძლიათ მონაწილეობა.
   გაითვალისწინეთ, რომ საგრანტო პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომში (წიგნი/ მონოგრაფია / საგნობრივი ენციკლოპედია) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ გამოიცა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით **[გრანტის ნომერი** ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number …]“. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ ნაშრომში არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას. **ერთ ნაშრომზე შესაძლებელია მითითებული იყოს ფონდის მიერ გაცემული მხოლოდ ერთი გრანტის ნომერი.**
6. **მაქსიმალური თანხა რაც შეიძლბა მოვითხოვოთ?**
   პასუხი: 6000 ლარი
7. **გრანტი ითვალისწინებს თუ არა პროექტის ხელმძღვანელის, კოორდინატორის და ძირითადი პერსონალის შრომის ანაზღაურებას?**
   პროექტის ბიუჯეტში საგრანტო დაფინანსება ითვალისწინებს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:
   ა) რედაქტირება, დიზაინი, დაკაბადონება;
   ბ) DOI, ISSN, ISBN მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
   გ) გამომცემლობასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
   დ) ელექტრონული წიგნის/ელექტრონული მონოგრაფიის მომზადების ხარჯებს PDF, ePUB, MOBI ფორმატით.
   ბიუჯეტის ოთხივე ხარჯვითი კატეგორია კლასიფიცირდება საქონელი და მომსახურების მუხლით, რომლიდანაც არ შეიძლება შრომის ანაზღაურების გაცემა.

8. **აუცილებელია თუ არა პროექტის ძირითადი პერსონალი, მათ შორის პროექტის ხელმძღვანელი და კოორდინატორი, იყოს იმ ორგანიზაციის თანამშრომელი, რომელიც წარადგენს პროექტს?**
   პასუხი: ამის აუცილებლობა არ არის.

9. **შესაძლებელია თუ არა ამ საგრანტო კონკურსის შედეგად დაფინანსებული პროექტის ფარგლებში გამოცემული ნაშრომების კომერციული მიზნით გამოყენება?**
   პასუხი: არა, არ არის შესაძლებელი, საგრანტო დაფინანსებით გამოცემული ნაშრომების კომერციული მიზნით გამოყენება აკრძალულია.

10. **სავალდებულოა თუ არა პროექტის კოორდინატორი იყოს სამეცნიერო ნაშრომის ავტორი?**
    პასუხი: არ არის სავალდებულო, საპროექტო წინადადებაში უნდა მიუთითოთ და დააზუსტოთ ავტორი/ავტორები.